საჭირო ქულა

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 20 ნოემბერი.

“დინამო” (თბილისი) _ “ზარია” (ლუგანსკი) 3:3 (2:2).

“დინამო”: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, კანთელაძე, ხურცილავა, რეხვიაშვილი, პეტრიაშვილი, მეტრეველი, კუტივაძე, გავაშელი, იამანიძე, მესხი.

“ზარია”: კლიუევი, შურჟენკო, დეგტიარევი, სინაუ, გლუხარევი, გალუსტოვი, აკჩურინი, ჟურავლიოვი (პროდანეცი), სერგეევი, კისელიოვი, ბალაბა.

მსაჯი ა. ზვერევი (ლენინგრადი).

დუბლიორები _ 2:0 “დინამოს” სასარგებლოდ.

გუშინდელ მატჩს თბილისის “დინამოსთვის” პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა: იგი უშუალოდ წყვეტდა ბრინჯაოს მედლების საკითხს. ამასთან, ფრე, ე.ი. 1 ქულა გუნდს საბოლოოდ უნაღდებდა III ადგილს სსრ კავშირის XXIX ჩემპიონატში.

რახან საქმე ასეთ კონკრეტულ პრობლემას ეხება, უნებლიედ წამოიჭრება კითხვა: ღირს თუ არა ზედმეტი რისკი, ღირს თუ არა წახვიდე “წმინდა მოგებაზე” და გაამწვავო მდგომარეობა, თუ ჯობს აირჩიო ტაქტიკური ბრძოლის გზა, რომელმაც მთელი სეზონის ფინიში უნდა საიმედო გარანტიით უზრუნველყოს და საეგებიოდ არ გახადოს საერთო წარმატების საქმე.

დინამოელებმა სწორად გადაჭრეს ეს ტაქტიკური საკითხი, მაგრამ ზედმეტი სიფრთხილე დაუშვეს შეტევის წარმოებისას. უკვე მე-6 წუთზე ხურცილავამ და მეტრეველმა მარჯვენა ფრთაზე გაითამაშეს კომბინაცია, რის შემდეგ გავაშელი წამით აღმოჩნდა ღია პოზიციაში. მისმა ზუსტმა დარტყმამ შეუცდომლად მიაღწია მიზანს _ 1:0.

გავიდა ცოტა ხანი და იამანიძემ მინდვრის სიღრმიდან გაიყვანა გარღვევაზე მეტრეველი. მცველებს შუა დარჩა დერეფანი, რომელიც მეტრეველმა სწრაფად განვლო და თავისი რეიდი ძლიერი დარტყმით დაამთავრა _ 2:0.

ასეთი დასაწყისის შემდეგ თბილისელებს შეეძლოთ კიდევ უფრო გაეძლიერებინათ შეტევები, მაგრამ გუნდმა ნაადრევად დაიხია უკან და საშუალება მისცა “ზარიას” ფორვარდებს ხელთ აეღოთ ინიციატივა. კოტრიკაძემ რამდენიმე ძნელი ბურთი აიღო, მაგრამ კისელიოვის დარტყმის შემდეგ განსხვავება ანგარიშში ჯერ ერთი გოლით შემცირდა, შემდეგ კი სერგეევმა კარგად გამოიყენა მცველთა პასიურობა და ტაიმის დასასრულს აღადგინა თანაფარდობა _ 2:2.

დინამოელებმა კიდევ ერთხელ შეძლეს დაწინაურება 56-ე წუთზე. მარცხნიდან მოწოდებული ბურთი იამანიძემ მოულოდნელი, ძლიერი დარტყმით გაგზავნა ლუგანსკელთა კარის ბადეში _ 3:2 და, მაინც, სტუმრებმა ისევ გაქვითეს გოლი. 70-ე წუთზე სინაუს უძლიერესი დარტყმა მოიგერია ძელმა. ბურთს მიუსწრო ბალაბამ და ანგარიში გახდა 3:3. დარჩენილ დროში ორივე გუნდი გამწვავებათა გარეშეE თამაშობდა და ცვლილებაც ტაბლოზე აღარ მომხდარა.

ლუგანსკის “ზარიას” ფეხბურთელებმა პირველებმა მიულოცეს თბილისის დინამოელებს III საპრიზო ადგილი გათამაშებაში.

განვლილ მატჩს ჰყავდა კიდევ 2 იუბილარი. თბილისელთა კაპიტნის, სპორტის დამსახურებული ოსტატის შ. იამანიძისთვის ეს იყო მე-300 გამოსვლა თავისი გუნდის შემადგენლობაში საკავშირო ჩემპიონატებზე და, ამას გარდა, 20 ნოემბერი საკავშირო კატეგორიის მსაჯის ა. ზვერევის დაბადების დღე გახლდათ (იგი 47 წლისა შესრულდა).

ნ. კიკნაძე.
“ლელო”, 21 ნოემბერი, 1967 წ.